ხელშეკრულება №458/18-7

ქ. თბილისი

„10" 09 2018 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

შპს "ენგურჰესი", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8 (ფაქტიური მდებარეობა: გალის რ-ნი, დას.საბერიო), შემდგომში "შემსყიდველად" წოდებული, მისი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის - ლევან მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების საფუძველზე ერთის მხრივ და

შპს „ინჯინიარინგ დიჯითალ ფრინთინგ (ი-დი-ფი)", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ხვიჩიას ქ. N30, მისი დირექტორის - გიორგი გრიგოლაშვილის სახით, შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებული, რომელიც ასევე მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად მეორეს მხრივ

გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "შემსყიდველი" ავალებს, ხოლო "მიმწოდებელი" ვალდებულია წინასწარი განაცხადის შესაბამისად ურთიერთშეთანხმებულ ვადაში გაუწიოს **რეპროგრაფიული (დოკუმენტაციის დასკანერება, ასლების ამობეჭდვა, გამრავლება და დისკზე და მეხსიერების ბარათებში ჩაწერა) მომსახურება** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს გაწეული მომსახურება და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2. კლასიფიკატორის კოდია: CPV-79500000.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მომსახურების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს - შპს „ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის უფროსის მოადგილე - ლ. ტაბიძე.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. გაწეული მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ ხელმოწერის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

4.1. "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
- მკაცრად დაიცვას მომსახურების გაწევის სახელშეკრულებო ვადები, უზრუნველყოს სათანადო ხარისხი;

4.2. "შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
- მომსახურების გაწევის შემდეგ ანაზღაურება განახორციელოს 6.3 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობები

5.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.

5.2. მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ "მიმწოდებელი" 2 დღეზე მეტად გადააცილებს მომსახურების გაწევის ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა "შემსყიდველის" წინაშე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

5.4. გადახდის დაგვიანების შემთხვევაში "შემსყიდველი" გადაიხდის "მიმწოდებლის" სასარგებლოდ გაწეული მომსახურების ღირებულების 0,02%-ს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

6.1. სახელშეკრულებო თანხა შეადგენს: 500 (ხუთას) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
6.2. ანგარიშსწორების ფორმაა-უნაღდო ანგარიშსწორება.
6.3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის განხორციელდება ეტაპობრივად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღეში.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიღება მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მისმიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების შესაბამისად.

8. ვალდებულებების შესრულების ვადები

8.1. მომსახურების გაწევის ხანგრძლივობა განისაზღვრება 1 - დან (ერთი) 5 (ხუთ) კალენდარულ დღემდე, შემსყიდველის მიერ ყოველი კონკრეტული განაცხადის მიმწოდებელისთვის წარდგენის დღიდან.
8.3. "მიმწოდებელს" უფლება აქვს თავისი ვალდებულებები შეასრულოს ვადაზე ადრე.

9. ფორს - მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჭირო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;
9.2 ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვება ამ ხელშეკრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ იგი არ შეიძლებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებულ ან გამოსწორებული ყოფილიყო დამკვეთი მხარის მიერ.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

10. ცვლილებები ხელშეკრულებაში

10.1 ნებისმიერ შემთხვევაში ცვლილებები და მასთან დაკავშირებული პროცედურები ფორმდება როგორც დამატება ხელშეკრულებაზე და მხარეების ხელმოწერის შემდეგ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ამავე წესით ფორმდება მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლენილი დამატებითი სამუშაოს მოცულობები.

10.2 არავითარი ცვლილება არ მიიღება ცალმხრივად მხარეების წერილობითი შეთანხმების გარეშე.

11. სხვა პირობები

11.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს თანაბარი ძალა გააჩნია.

11.3. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები ატყობინებენ ერთმანეთს დაუყონებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.

11.4. სადაო საკითხები რეგულირდება ორმხრივი მოლაპარაკებით. თუ ეს მოლაპარაკება აღმოჩნდება უშედეგო, დავა გადაწყდება სასამართლო წესით საქართველოს კანონების მიხედვით.

11.5. ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი" შპს "ენგურჰესი"	"მიმწოდებელი" შპს „ინჟინიარინგ დიჯითალ ფრინთინგ (ი-დი-ფი)"
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8 სს „პროკრედიტ ბანკის" ქუთაისის ფილიალის ზუგდიდის განყოფილება ს/კ 251716371 ბ/კ MIBGGE22 ა/ა GE59PC0173600100015015 დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	იურიდიული მის. ქ. თბილისი, ხვიჩიას ქ. №30 სს „პროკრედიტ ბანკი" ს/კ 202365387 ა/ა GE66PC0243600100012262 დირექტორი
_____ ლ. მებრონია	_____ გ.ფრიგოლაშვილი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„10“ 09 “ 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, №458/18-7 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებით, შპს ,,ინჯინიარინგ დიჯითალ ფრინთინგ (ი-დი-ფი)"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

შპს "ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე ლ. მებონია

შპს "ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების
სამსახურის უფროსი ვ. მოლაშხია

შპს "ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების
სამსახურის საქუფროსის მოადგილე ლ. ტაბიძე

მომსახურების გაწევის

მიღება-ჩაბარების

ა ქ ტ ი

14.09.2018 წ. ქ. თბილისი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერებმა: შპს ,,ენგურჰესი"-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ - ლ. მებონიამ, შესყიდვებისა დ მომარაგების სამსახურის უფროსის მოადგილემ - ლ. ტაბიძემ ერთის მხრივ და შპს ,,ინჯინიარინგ დიჯითალ ფრინთინგ (ი-დი-ფი)"-ს დირექტორმა - გ. გრიგოლაშვილმა მეორეს მხრივ შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ მხარეთა შორის 2018 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული №458/18-7 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება (რეპროგრაფიული (დოკუმენტაციის დასკანერება და CD დისკზე ჩაწერა) მომსახურება) გაწეულია დროულად და ხარისხიანად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

აქტის თანახმად გაწეულ მომსახურებაზე ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს: 49 (ორმოცდაცხრა) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
	შპს „ინჯიარინგ დიჯითალ ფრინთინგ
შპს "ენგურჰესი"	(ი-დი-ფი)"
ს/კ 251716371	ს/კ 202365387
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	დირექტორი
_____ ლ. მებონია	_____ გ. გრიგოლაშვილი

შპს „ენგურჰესი"-ს შესყიდვებისა და მომარაგების
სამსახურის უფროსის მოადგილე

_____ ლ. ტაბიძე

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0402910775

2	14/09/2018

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	17:12:55

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ინჯინიარინგ დიჯითალ ფრინთინგ ი-დი-ფი	202365387

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	შპს ენგურჰესი	251716371

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	თბილისი, პეკინის გამზ. II მკრ. კორპ.6, ბინა 2

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	თბილისი, პოლიტკოვსკაიას # 8

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საზ. ტრანსპორტით

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	სკანირებული ფართ. ფორ.	sM2	კვ.მ	1.8000	12.0000	21.6000
2	სკანირებული A4 ფორმატი	sA4	გვერდი	47.0000	0.5000	23.5000
3	სკანირებული A3 ფორმატი	sA3	გვერდი	3.0000	1.0000	3.0000
4	ჩაწერილი CD დისკი	CD	ცალი	1.0000	0.9000	0.9000

13	49 - ორმოცდაცხრა ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	გიორგი გრიგოლაშვილი, დირექტორი

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	ლევან ტაბიძე

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	14/09/2018	17:13:00

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო, ინვოისი # 2213, ტ.: 595-99-73-77

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 03/10/2018, 10:38:57